საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№261/15

2019 წელი, 27 მაისი

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, იმავე მუხლის მე-8–მე-10 პუნქტებით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოს, მთავრობის წევრის ინტერპელაციის წესით მოსმენის დრო განისაზღვროს დანართის თანახმად.

დანართი: 1 ფურცელი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — თამარ ჩუგოშვილი

საქართველოს მთავრობის, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოს, მთავრობის წევრის ინტერპელაციის წესით მოსმენა

(რეგლამენტი მუხ.149)

N	გამომსვლელის დასახელება	გამოსვლის დრო	დროის გაგრძელება	შენიშვნა
				31.05.2019
1.	**შეკითხვის ავტორი** (პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციანი ჯგუფი, ფრაქცია)	2.5 წთ.		
2.	**ადრესატის პასუხი** (საქართველოს მთავრობა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანო, მთავრობის წევრი)	5 წთ.	2.5 წუთი	
3.	**შეკითხვის ავტორის დაზუსტება**	1 წთ.		
4.	**ადრესატის პასუხი**	2.5 წთ.		
	შესვენება	15 წთ.		
	დ ე ბ ა ტ ე ბ ი			
5.	**დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი**	1.30 წთ.		
6.	**იმ ფრაქციის წარმომადგენლები, რომლებიც არ არიან გაერთიანებული უმრავლესობაში ან უმცირესობაში**	4 წთ.		
7.	**უმცირესობის წარმომადგენლები**			
8.	**უმრავლესობის წარმომადგენლები**	11.30 წთ.		
9.	**ადრესატის დასკვნითი სიტყვა**	5 წთ.		

შენიშვნა; შეკითხვების რაოდენობის გათვალისწინებით, პარლამენტის ბიურო პროპორციულად ამცირებს ინტერპელაციით გათვალისწინებულ დროებს, იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ყველა შეკითხვაზე ყველა პროცედურის გავლა.

საქართველოს პარლამენტი

ფრაქცია „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“

2748/3-110/19 2 14032019

2748/3-110/19
14-03-2019

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონ მამუკა ბახტაძეს

ბატონო მამუკა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საპარლამენტო ფრაქცია "ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ ინტერპელაციის შეკითხვებს, რომლებზეც პასუხს ველით საგაზაფხულო სესიის მარტის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს, როგორც ეს არის გათვალისწინებული საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით:

1. რატომ არის წინააღმდეგი საქართველოს მთავრობა, რომ დაგროვებითი პენსია იყოს ნებაყოფლობითი?

2. რატომ არის საქართველოს მთავრობა წინააღმდეგი „ევროპული საქართველოს“ ინიციატივის, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემა განხორციელდეს საშემოსავლო გადასახადის შემცირების ხარჯზე?

3. დაგროვებითი პენსიის თქვენი მოდელის მიხედვით რატომ დაიწყო მოსახლეობისთვის სავალდებულოდ/იძულებით საპენსიო შენატანის ჩამოჭრა ისე, რომ ჯერ არ მიღებულა გადაწყვეტილება, სად ყოფილიყო ეს თანხა დაბანდებულა და არ შექმნილა საინვესტიციო საბჭო?

4. როგორც ცნობილია, თქვენი მთავრობის ინიციატივით შემოღებულმა საბანკო რეგულაციებმა ზიანი მიაყენა ბევრ სფეროში საცალო ვაჭრობას, მშენებლობის სექტორს, საბანკო სექტორს და მთლიანად ეკონომიკას. რატომ არ იქნა გათვალისწინებული ამ ზიანის მიყენების საფრთხე საბანკო რეგულაციების მიღებამდე და როგორ აპირებთ უახლოეს მომავალში ამ ზიანის აღმოფხვრას? დაუჭერთ თუ არა მხარს ამ პოლიტიკის დაუყოვნებლივ შეცვლას. ამ ფონზე როგორ აფასებთ ეკონომიკური ზრდის შემცირებას, საგადასახადო წნეხის გაზრდას და ინვესტიციების შემცირებას?

5. 2018 წელს თქვენ განაცხადეთ, რომ „ოთხოზორია-ტატუნაშვილის“ სია დაზუსტდებოდა და მოხდებოდა მასში ცვლილებების შეტანა. რატომ არ არის დღემდე ამ სიაში შეყვანილი რუსეთის ფედერაციის არც ერთი ოფიცერი და რუსეთის საოკუპაციო სამხედრო ძალების არც ერთი წარმომადგენელი? რატომ არ მოხდა სიის დაზუსტება? ხარჯავთ თუ არა საკმარის რესურსს საერთაშორისო ასპარეზზე ამ თემის წამოსაწევად?

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

6. როგორ აფასებთ ხელისუფლების მხრიდან კოორდინირებულ „შეტევას“ „თიბისი“ ბანკის დამფუძნებლებზე (ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ქმედება, პროკურატურის შეტევა და გამოძიებასთან დაკავშირებული ინფორმაციის პროაქტიურად გასაჯაროება, ეროვნული ბანკის მხრიდან მამუკა ხაზარაძეზე და ბადრი ჯაფარიძეზე, ასევე ტიბისი ბანკზე სანქციების დაწესება, საგადასახადო სამსახურის მხრიდან ბანკის შემოწმება და ა.შ.) და ჰაკერულ შეტევას „თიბისი“ ბანკზე კანონის უზენაესობის თვალსაზრისით?

პატივისცემით,

ფრაქციის თავმჯდომარე
გიორგი წერეთელი

საქართველოს პარლამენტი

ფრაქცია „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“

5589/3-110/19 2 14052019

5589/3-110/19
14-05-2019

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონ მამუკა ბახტაძეს

ბატონო მამუკა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საპარლამენტო ფრაქცია ,,ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ ინტერპელაციის შეკითხვებს, რომელებზეც პასუხს ველით საგაზაფხულო სესიის მაისის პლენარული სხდომების ბოლო პარასკევს, როგორც ეს არის გათვალისწინებული საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.

აქვე გაცნობებთ, რომ ფინანსთა სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, პარლამენტის წევრებს არ გვაწვდის ინფორმაციას საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გადახდილი შრომის ანაზღაურების მოცულობისა და დასაქმებული პირების რიცხოვნობის შესახებ. გთხოვთ, გვიპასუხოთ:

1. რამდენი ლარია
- სახელმწიფო ორგანოების,
- ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოების,
- ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების,
- სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სსიპ-ებისა და ააიპ-ების,
- ავტონომიური რესპუბლიკების მიერ დაფუძნებული სსიპ-ებისა და ააიპ-ების,
- ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაფუძნებული სსიპ-ებისა და ააიპ-ების ბიუჯეტებიდან შტატიანი თანამშრომლების შრომის ანაზღაურების მიზნით დახარჯული თანხა 2012 წლიდან 2018 წლის ჩათვლით. გთხოვთ, პასუხი შეიცავდეს ინფორმაციას ყოველ პუნქტზე ცალ-ცალკე თითოეულ წელს.

2. ანალოგიური ინფორმაცია შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე.

3. რამდენი ლარია ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაფუძნებული სსიპ-ებისა და ააიპ-ების ბიუჯეტებიდან შრომის ანაზღაურების მთლიანი ფონდი 2012 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, ცალ-ცალკე თითოეულ წელს (მათ მიერ ადგილობრივი ბიუჯეტებიდან სუბსიდიის სახით მიღებული თანხებიდან გაცემული ხელფასების ჩათვლით).

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

4. რამდენი ადამიანია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული, რომლებიც შრომის ანაზღაურებას იღებდნენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებიდან, ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაფუძნებული სსიპ-ებისა და ააიპ-ების ბიუჯეტებიდან 2012 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, წლების მიხედვით თითეულ წელში ცალ-ცალკე.

პატივისცემით,

ფრაქციის თავმჯდომარე
გიორგი წერეთელი

საქართველოს პარლამენტი

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“

5714/3-24/19 2 16052019

5714/3-24/19
16-05-2019

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს

თამარ ჟვანიას

ქალბატონო თამარ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ პარლამენტის პლენარულ სხომაზე პირადად უპასუხოთ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ინტერპელაციის წესით დასმულ შეკითხვას, კერძოდ:

- რა რეაგირებას ახდენს საარჩევნო ადმინისტრაცია საარჩევნო კამპანიის დროს მომხდარ დარღვევებზე;

პატივისცემით,

ფრაქციის თავმჯდომარე
რომან გოცირიძე

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს პარლამენტი

ფრაქცია „ქართული ოცნება“

5773/3-63/19 2 17052019

5773/3-63/19
17-05-2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის შესაბამისად, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება“ ინტერპელაციის წესით წარმოგიდგენთ შეკითხვებს:

1. საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს მათი ნაწილი ავითარებს მოსაზრებას, რომ სოციალური დახმარების განაწილების პრინციპი არ არის სამართლიანი, ხშირია შემთხვევები, როდესაც სოციალურ დახმარებას იღებენ ისეთი პირები, რომლებიც რეალურად მას ნაკლებად საჭიროებენ, ხოლო საჭიროების მქონე პირებს ძალიან ხშირად ეხსნებათ დახმარება, - მაგალითად იმ მიზეზით, რომ ფლობენ ელემენტარულ საყოფაცხოვრებო ნივთებს. რა ვითარებაა რეალურად ამ კუთხით და რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავს სამინისტრო აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად?
2. როგორ ხდება სამედიცინო დაწესებულებების კონტროლი, განსაკუთრებით საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ხარჯების მიზნობრიობის კუთხით?

გთხოვთ, პუნქტობრივად მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია რა ვითარებაა რეალურად ამ საკითხებთან დაკავშირებით და პლენარულ სხდომებზე კითხვებს უპასუხოთ პირადად.

პატივისცემით,

ფრაქციის თავმჯდომარე
მამუკა მდინარაძე

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge